

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ლიტერატურული ონტოტექსტოლოგია - გივი მარგველაშვილის
მინიატურები

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
guranda.gobiani@unik.edu.ge

ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის ონტოლოგია გარე სამყაროს რეალობის პოსტულირებას ახდენს. ონტოლოგია ეს არის ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების, ანუ არსებობის, არსის შესახებ. ლიტერატურული ონტოტექსტი, ე.წ. ლიტერატურული „თამაში“, პოსტმოდერნისტული პარადიგმის განუყოფელი ელემენტია, რომლის ცენტრში დგას თემა, სიუჟეტი რეალური პერსონაჟებით, ყოფითი ამბებით, ცხოვრებისეული გამოწვევებით და დეკონსტრუქციული ტექსტებით. რეალობის პოლივარიანტულობა, ექსპერიმენტულობა, კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია, ტექსტის კონსტრუქციასთან თამაში და ონტოტექსტი წარმოადგენს სწორედ თანამედროვე გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, გივი მარგველაშვილის შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ღერძს. თავისი მინიატურებით, გამონაგონისა და სინამდვილის, ილუზიურისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევის საფუძველზე, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაციით, მარგველაშვილი უაღრესად საინტერესო და ექსპერიმენტულ ტექსტს ქმნის, რომელსაც საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან ინტერტექსტუალურ სამყაროში გადავყავართ. მარგველაშვილის ონტოლიტერატურის თემატიკა (თემა) ლიტერატურული პერსონაჟების ცოცხალი სახეებია, რომლებიც ახლა, ამ მომენტში, აწმყოში არსებობენ და ბედისწერის (სიუჟეტის) ჩარხის წაღმა დატრიალებას ლამობენ, რათა წიგნის სამყაროში, ლიტერატურულ „თამაშში“ მაინც დააბრუნონ ის დაკარგული „სილაღე“, რომლისგანაც დიდი ხანია დაცლილია ჭეშმარიტი, რეალური ყოფა. წიგნის სამყაროს კანონების მიხედვით, ეს შესაძლებელია, რადგან, მწერლის აზრით, სამყარო წიგნისმიერი განზომილებაა და მათ კი სწორედ მკითხველი ანუ წაკითხვა ანიჭებთ სინამდვილის და სიცოცხლისუნარიანობის განცდას. ამიტომაც ცდილობს ავტორი შეაფხიზლოს მკითხველი თავისი „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედურით.“

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული ონტოტექსტოლოგია, პოსტმოდერნიზმი, ტექსტის დეკონსტრუქცია, ინტერმედიალური ელემენტები.

გ. გობიანი

ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის, ონტოლოგია გარე სამყაროს რეალობის პოსტულირებას ახდენს. ონტოლოგია ეს არის ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების, ანუ არსებობის, არსის შესახებ, რომელიც განსხვავებით გნოსეოლოგიისა (რომელიც სწავლობს შემეცნებას) იკვლევს მოვლენებს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერების გათვალისწინებით. ობიექტური დამოუკიდებელს, თავისთავადს, თვითმყოფადს ნიშნავს, რაც არსების, ყოფის ფუნდამენტური ნიშანია. ტერმინი „ონტოლოგია“ პირველად რ. გოკლენიუსმა (1613) იხმარა იმ მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც არსის უზოგადეს კანონებს სწავლობს, ხოლო ფროგვიანკრ. ვოლფმა დამისმამოწაფეებმა განავითარეს და მეტაფიზიკის ერთ-ერთ ნაწილად გამოაცხადეს ფსიქოლოგიის, კოსმოლოგიისა და ბუნებრივი თეოლოგიის გვერდით, თუმცა ხაზი გაუსვეს ონტოლოგიის უპირატეს ღირებულებას. ისტორიულად კი ამ ფილოსოფიური მეცნიერების ავტორად არისტოტელეს მიიჩნევენ, რომელიც წერდა: „არის ისეთი მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც ასეთს, და იმას, რაც მას თავისთავად აქვს“¹. ონტოლოგიას არისტოტელე „პირველ სიბრძნეს“, ხოლო ვოლფი „პირველ ფილოსოფიას“ უწოდებს (ავალიანი 2007:4).

ლიტერატურული ონტოტექსტი ე. წ. ლიტერატურული „თამაშის“ ორგანულ ნაწილად მოიაზრება სპეციფიკური, ესთეტიკური საშუალებებით და პოსტმოდერნისტული პარადიგმის განუყოფელ პოსტულატს შეადგენს, რომლის ცენტრში დგას თემა, სიუჟეტი რეალური პერსონაჟებით, ყოფითი ამბებით, ცხოვრებისეული გამოწვევებით და დეკონსტრუქციული ტექსტებით. მთავარი და არსებითი არის „ტექსტი“ - „სამყარო როგორც ტექსტი“ და „ცნობიერება, როგორც ტექსტი“. თავისუფლება „თამაშში“ პოსტმოდერნიზმის მთავარი „იარაღია“. მწერალი სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ „სივრცეშია“ მოქცეული. ტრადიციული ფორმების ნგრევა, ციტატურობა, ინტერტექსტუალურობა, ტექსტის დეკონსტრუქცია, მორალთან დაკავშირებული მარგინალურობის გამოვლენა, კანონების უარყოფა, ირონია, ზედაპირულობა, რეალობის პოლივარიანტულობა - პოსტმოდერნიზმის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია. სწორედ რეალობის პოლივარიანტულობა, ექსპერიმენტულობა, კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია, ტექსტის კონსტრუქციასთან თამაში და ონტოტექსტი წარმოადგენს თანამედროვე გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, გივი მარველაშვილის შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ღერძს და ერთგვარ ნიშანს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული პოსტმოდერნიზმის განვითარებაში და სერიოზული კვალი დატოვა ინტერკულტურული ლიტერატურული კომუნიკაციის

¹ არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1003 a, 21-32 aristotele, metafizika, 1003 a, 21-32.

გადრმავების სფეროში.

ემიგრანტი მწერლის ბიოგრაფია ისეთივე არაორდინალურია, როგორც მისი მხატვრული პროდუქტი. დაიბადა ბერლინში, 1927 წელს, ქართველი ემიგრანტის, ტიტე მარგველაშვილის ოჯახში. 1946 წელს მამ-შვილი საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურმა დააპატიმრა და ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსა. ტიტე მარგველაშვილი დახვრიტეს, ხოლო გივი მარგველაშვილი საქართველოში ჩამოიყვანეს და ნება დართეს თბილისში თავის ნათესავებთან ეცხოვრა. მარგველაშვილმა დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი. შემდეგ იგი მუშაობდა იქვე გერმანული ენის მასწავლებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში — მეცნიერ თანამშრომლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში გივი მარგველაშვილი წერდა რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს გერმანულ ენაზე, თუმცა არც ერთი მისი ნაწარმოები არ დაბეჭდილა. როგორც მარგველაშვილის მეუღლე, მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ნაირა გელაშვილი აღნიშნავს: „ბედისწერას ენება, რომ მისი აურაცხელი ლიტერატურული ნოვაციები და ექსპერიმენტები, ისევე როგორც მისი უზარმაზარი ფილოსოფიური და ლინგვისტური ნაღვაწი 1990 წლამდე თბილისის ერთოთახიანი ბინის სივიწროვესა და საკუთარი უჯრების სიბნელეში დარჩენილიყო“ (მარგველაშვილი 2018:8). გივი მარგველაშვილმა მხოლოდ 80-იან წლებში მოახერხა კვლავ ჩასულიყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საიდანაც დაიწყო მისი აღმავლობა და პოპულარიზაცია. 1991–1992 წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუმის“, 2 ტომი (პირველი ტომი თარგმნილია ქართულად კარლო ჯორჯანელის მიერ), აგრეთვე რომანები „მუცალი“ (ქართულად თარგმნა მაია ბადრიძემ), „დიდი კორექტურა“, პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი“, „სიცოცხლე ონტოტექსტში“. მწერალი ერთბაშად იქნა აღიარებული თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შემოქმედად, მასზე გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი გერმანიის ტელევიზიაში, იგი მიწვეულ იქნა გერსვაილერის „ქალაქის მწერლად“ გერმანიაში, ხოლო მოგვიანებით ლექციების საკითხავად გერმანიისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. გივი მარგველაშვილი ცნობილია, აგრეთვე, როგორც ფილოსოფოსი, გერმანული ეგზისტენციალიზმის აღიარებული სპეციალისტი. მას სიცოცხლეშივე მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და პრემია დამსახურებისთვის. გარდაიცვალა 2020 წლის 13 მარტს, 92 წლის ასაკში. დაკრძალულია მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გივი მარგველაშვილის თხზულებათა გამოცემა, როგორც ზემოთ

გ. გობიანი

აღნიშნეთ, გერმანიაში მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო, შესაბამისად, მისი ტექსტების ლიტერატურულ-კრიტიკული რეცეფცია, რომლებიც ძირითადად შემოიფარგლება ცალკეულ ნაწარმოებთან დაკავშირებული გერმანულენოვანი რეცენზიებით, 1990-იანი და 2000-იანი წლებით თარიღდება და გერმანიის ინტერკულტურულ ლიტერატურათა ტოპოგრაფიაში ემიგრანტ მწერალთა იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომლებმაც გერმანიაში გაიარეს სოციალიზაცია და შედეგად გერმანული ენა მათ მშობლიურ ენად იქცა. ის განეკუთვნება ეთნო-კულტურულ უმცირესობას ქართულ სივრცეში და, სხვა გერმანულ-ქართული მწერლების მსგავსად, თავის ნაწარმოებებს ქმნის სწორედ გერმანელი (გერმანულენოვანი) მკითხველისთვის (დობორჯგინიძე და სხვ. 2019: 36). ფაქტობრივად, მარგველაშვილის იდენტობა, მისი ბიოგრაფიული ქარტეხილებიდან გამომდინარე, არც გერმანულია და არც ქართული და როგორც ფილოსოფოსი გივი ზედანია აფასებს, მას აქვს 'დეფისის იდენტობა' ანუ იდენტობა, რომელსაც გერმანულ-ქართული ეწოდება¹. მისთვის ერთადერთ თავშესაფრად და შინაგანი ემიგრაციის სამყაროდ სწორედ ლიტერატურა იქცა. ასე, რომ გივი მარგველაშვილის ბიოგრაფია და მწერლობა ერთ მთლიან ონტოტექსტად შეიძლება იქნეს მოაზრებული, ხოლო უცხო გარემოში „ჩაგდებულობა“ მისი ცხოვრებისა და მისი ლიტერატურული ტექსტების მთავარ თემად.

„წიგნისა და ლექსის სამყაროს უბნებში ბედისწერის დარტყმათა მოგერიების ონტოტექსტოლოგიური მცდელობანი“ - ასე განმარტავს გერმანულენოვანი ქართველი მწერალი - გივი მარგველაშვილი - თავის პროზაულ-პოეტური მინიატურების დატვირთვას და, როგორც ნაირა გელაშვილი აღნიშნავს, სწორედ ასეა ფორმულირებული მისი მინიატურათა კრებულის ქვესათაური, რომელიც 1992 წელს გამოიცა ბერლინში სახელწოდებით „Der ungevorfene Handschuh“ (არნასროლი/ გაუსროლეელი ხელთათმანი) (მარგველაშვილი 2018: 9), ხოლო 1998 წელს უკვე საქართველოში, გამომცემლობა „კავკასიურმა სახლმა“, ნაირა გელაშვილის წინასიტყვაობით რუსულ ენაზე გამოსცა მარგველაშვილის მინიატურები, სახელწოდებით - „Я книжный персонаж“, მოგვიანებით, იმავე გამომცემლობამ, 2006 წელს, ისევ ნაირა გელაშვილის წინასიტყვაობით, ქართულ ენაზე (თარგმანი ეკუთვნის ნაირა გელაშვილს) სახელწოდებით - „მეწიგნის გმირივარ“. 2018 წელს მინიატურათა კრებული მეორედ გამოიცა გამომცემლობა „ალონის“ მიერ, რომელსაც ახლავს ნაირა გელაშვილის ორივე წინასიტყვაობა. სწორედ აღნიშნული მცირე ზომის

¹ ბიძინა რამიშვილი, „გივი მარგველაშვილი 85 წლის გახდა“, 2012 წელი 21 დეკემბერი, რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/giwi-margwelaschwili-85/24805647.html> (7.05.2021)

მინიატურების კრებული გახდა ჩვენი კვლევის ინსპირაცია, რომელშიც მარგველაშვილის ურიცხვი მინიატურებიდან მხოლოდ რამდენიმე, კერძოდ, 55-მდე ტექსტია შესული, თუმცა ეს რაოდენობაც სავსებით საკმარისია მკითხველი „შიტყუს“ თავის ონტოტექსტოლოგიურ „მარშრუტში“ და ხან ტექსტებში გამომწვევდელ პერსონაჟად და ხანაც „წიგნის სამყაროს სამმართველოს მუშაკად“ აგრძნობინოს თავი.

ტექსტი მარგველაშვილის ლიტერატურული პროდუქციის ბირთვია: „დაწერილი ტექსტები (წიგნები) ხშირად სხვა ტექსტებს: რეალურ ისტორიას, ადამიანთა ბედისწერას, კაცობრიობის გზას განსაზღვრავს (მაგ. „წმინა წერილი“ , ან მაქსის „კაპიტალი“ , ან ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“). ადამიანი სამყაროში, ისტორიაში, ქვეყანაში - ეს არის „ტექსტი ტექსტში“. ისტორია და ყოფიერება ტექსტების ურთიერთზეგავლენაა, ერთმანეთთან ბრძოლა თუ კავშირი (მარგველაშვილი 2018: 10). მარგველაშვილისთვის ხელოვნების ნიმუშზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექსტი შინაარსზე დომინირებს, მისთვის აზრის საგნისადმი მიახლოების საშუალება მხოლოდ ტექსტია.¹

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის კონტრუქციასთან თამაშით, მინიშნების ტექნიკით, თხრობის ფრაგმენტულობით თუ ციტატური აზროვნებით, რომლებიც არა მხოლოდ მისი პროზაულ-პოეტური მინიატურების, არამედ მთელი მისი ლიტერატურული შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია, მარგველაშვილი გამიზნულად ინტელექტუალურ მკითხველს გულისხმობს. თუმცა, ხშირად, თხრობის მანერით, ბიბლიური ნარატივით, უხვად მოსაუბრე გაცოცხლებური წიგნის გმირების გახსნილობით, ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტებითა და რეალობის გაქრობით თითქოს ზღაპრების მწერლსაც ემსგავსება. სწორედ ამაშია მისი გენიალურობა, მარგველაშვილის სტილი, როგორც მისი გერმანელი მეგობარი შტეფან ვაკვიცი აღნიშნავს თავის მოგონებაში სავსებით მიგნებულად, ერთვარი ნაზავია ბავშვობისა და ჰიპერინტელექტუალობის.²

ონტოტექსტის ცენტრალური ნაწილი თემაა, მარგველაშვილის ონტოლიტერატურის თემატიკა (თემი) ლიტერატურული პერსონაჟების ცოცხალი სახეებია, რომლებიც ახლა, ამ მომენტში, აწმყოში არსებობენ და ბედისწერის (სიუჟეტის) ჩარხის წაღმა გადატრიალებას ლამობენ, რათა წიგნის სამყაროში, ლიტერატურულ „თამაშში“ მაინც დააბრუნონ ის

¹ ინტერვიუ გ. მარგველაშვილთან ჩაწერილია 2008 წელს და დაიბეჭდა ჟურნალში „ein BLICK Georgien“. ინტერვიუს უძღვებოდნენ მარიკა ლაფაური და ფრანკ ტრემელი. 2013 წელს სრული ინტერვიუ ქართულად სათაურით „გივი მარგველაშვილის ლიტერატურული თამაშები“ გამოქვეყნდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალში „არილი“ <http://arilimag.ge/> (10.05.2021),

² შ. ვაკვიცი „გივი მარგველაშვილის მოგონება“, თარგმნა ნათია მიქელაძე-ბახსოლინმა, სტატია დაიბეჭდა 2020 წლის 13 მარტს და გამოქვეყნებულია გოეთეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: <https://www.goethe.de/ins/ge/ka/kul/mag/giw.html> (15.05.2021),

გ. გობიანი

დაკარგული „სილაღე“, რომლისგანაც დიდი ხანია დაცლილია ჭეშმარიტი, რეალური ყოფა. წიგნის სამყაროს კანონების მიხედვით ეს შესაძლებელია, რადგან მწერლის აზრით სამყარო წიგნისმიერი განზომილებაა და მათ კი სწორედ მკითხველი ანუ წაკითხვა ანიჭებთ სინამდვილის და სიცოცხლისუნარანობის განცდას. ამიტომაც მიმართავს ავტორი მკითხველს დაცდილობს შეაფხიზლოს თავისი „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედურით“: „მე ხომ ვარ ქმნილი შენი ნეკნიდან, ფორმადქვეული შენი ტექსტიდან: ამოზრდილი ვარ მასალიდა შენი სიცოცხლის... გამაგებინე: რატომ არ მკითხულობ რატომ არ გიყვარვარ?“ (მარგველაშვილი 2018: 55). სანამ მიჯნური (მკითხველი) ყავს რაინდის გულს, რომელმაც სასახლის მსახურთუხუცესის პერგამენტის ნაგლეჯზე წააწერა „აი, აქ ამაშია ჩემი გული და მშვიდობით იყავ!“ და ქალს ეჩვენება, რომ თუკი თავს ძალიან დახრის მისკენ, გულის ძგერასაც გაიგონებს, ის ცოცხალია და არაფერი დაემართება („რაინდის შეხვეული გული“, მარგველაშვილი 2018: 77). ლექსის სამყაროს მებაღეებსაც იგივე სადარდებელი აქვთ, ისინი წუხან, რომ ცნობილ პოეტთა ძვრიფასმა ყვავილებმა ჭკნობა დაიწყეს და მთელ ამ ყვავილნარს, მკითხველმოწყურებულ ფლორას, რომელიც ტექსტის ანუ საკითხავი მასალისაა, წაკითხვა სჭირდება, რათა იცოცხლოს, მათ სწორედ მკითხველის ჩრდილი ასულდგმულებთ („მკითხელის ცხოველმყოფელი ჩრდილი“) (მარგველაშვილი 2018: 49), რომელიც ლექსის მშვენიერ და ეკლიან ვარდს მოიქცევს თბილ ხელისგულებში, ვიდრე ეკალი ღრმად არ ჩააღწევს მკითხელის ხორცში, ვიდრე თბილი და ნამდვილი სისხლი არ გადმოსჩქებს ხელისგულებიდან... („კეთილი რჩევები მოწამეობის მოწადინე მკითხველებსთვის“, მარგველაშვილი 2018: 63). გაჩერებულ პოეტურ „კარეტაზე“ ისევ ჰკიდია პლაკატი წარწერით: „ვეძებთ მკითხველებს თანამგზავრად - როგორც ძალას ჩვენი ლირიკული ცხენებისა და სიცოცხლისთვის“ („პოეტური კარეტის მამომრავებელი ძალა“, მარგველაშვილი 2018: 98). როგორც ვხედავთ, მწერლის თავისუფალ „სივრცეში“ პერფორმანსი იქცევა ყოფის, არსებობის დეკანონიზაციის საშუალებად, სადაც ტექსტი მკითხველია და რეალურ სამყარო - ავტორი. ამით მარგველაშვილი ერთგვარ კონსტრუირებას ახდენს ობიექტური რეალობისას და ავასცენაზე შეჰყავს მკითხველი, როგორც მოქმედი გმირი.

ემიგრანტი მწერლის „ონტოტექსტოლოგიური მცდელობების“ წყარო კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციაა, რომელშიც შედის როგორც ბიბლიური ნარატივი („ისააკის გაქცევა ბეთლემში“; „განდევნა დროიდან, როგორც ეს წმინდა წერილშია აღწერილი“; „წიგნის გმირის დროული გადასახლება“; „აღქმის ჯვარზე“; „თავისიანებს ჩამორჩენილი ანგელოზი“...) ასევე ქართული და ევროპული თემატიკა („ასე დასრულდა შეყვარებულ მცენარეთა ტანჯვა-წამება“; „სამმო სასაფლაო“; „იხსენით

არწივი“; „სარკმელი სურათში“, „ჰამლეტის ყოფნა თუ არყოფნა“; „წერილი ტროას ცხენი“...). შესაბამისად, მის მხატვრულ პროდუქციაში უცხო ელემენტები არის როგორც ლიტერატურული წარმოშობის, ასევე სხვა ფიქციონალური სისტემიდან (მაგ. სახვითი ხელოვნება) და ფაქტუალური ყოფითი ტექსტებიდან და განეკუთვნება ფსევდო-ინტერტექსტუალობის სფეროს, სადაც ტექსტებს შორის კავშირი უბრალო პოსტმოდერნისტული სიმულაციაა, რაც ეხმარება ავტორს კეთილშობილური „მისიის“ შესრულებაში - მხსნელად მოველინოს თემებსა და სიუჟეტებში სამუდამოდ დატყვევებულ ტექსტების პერსონაჟებს თავი დაახწიონ ბედისწერის ფატალურობას და ცოტა ხნით მაინც გათავისუფლდნენ ობიექტური რეალობის მარწუხებისგან. სწორედ ამ მიზნით შემოდის მარგველაშვილის შემოქმედებაში უცნაური ორგანიზაცია - წიგნის/ლექსის/ტექსტის სამყაროს სამმართველო, რომლის მუშაკებიც თანამზრად არიან დაქსაქსულნი მის მოთხრობებში, რომანებში, მინიატურებსა თუ ლექსებში და სხვადასხვა ხერხითა და საშუალებებით ამოყავთ ორ ყდას შორის მოქცეული წიგნის გმირები სხვა, ახალ, მათთვის სავსებით უცხო და ბევრად სასურველ ყოფაში. როგორც მწერლის მეგობარი შტეფან ვაკვიცი აღნიშნავს, გ. მარგველაშვილის იდეები და ლიტერატურული ფიგურები



პიკასო „პეიმანი“. ნახატ მამაკაცს ნახატი ქალი ჩაუკრავს გულში. კაცი, მამალივით რომ აფოფრილა, ნაზ ქალს ისრუტავს ძლიერ ამბოროში. თითქოს ბრჭყალებში მოუქცევია ნახატი ქალის თბილი სხეული. თეთრი, უმკლავებო (და ასე ძვირფასი შიგთავსის შემცველი) პერანგი გაბერილა და აფრასავით ლივლივებს მამაკაცის ულურჯეს პიჯაკზე და კაცის ფეხები ღია ჭიშკარივით დგანან მეწამული მოსასხამის ირგვლივ. ქალს რომ წამოუსხამს (მარგველაშვილი 2018: 107).

გ. გობიანი

მართლაც აწმყოში არსებობენ და ნატურალიზმის მისეულ ფორმას ქმნიან, ალბათ იმიტომ, რომ მისთვის ლიტერატურა და ფილოსოფია მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანურადაც უფრო ახლო იყვნენ, ვიდრე ის სოციალური გარემო, რომელშიც გასული საუკუნის მოვლენებმა იძულებით გადმოისროლეს.

მარგველაშვილის ონტოტექსტოლოგია შეიცავს ინტერმედიალურ ელემენტებს, რაც, სიუჟეტის სიმულაციისა და თემატიზების საშუალებით, კიდევ უფრო მრავალფეროვანს და უცნაურს ხდის მწერლის თავისუფალ „წიგნისმიერ სამყაროს“. ამ თვალსაზრისით კვლევის სამიზნე ტექსტად ავიღეთ მინიატურა „სარკმელი სურათში“, სადაც უცხო ელემენტი სახვითი ხელოვნებიდან არის ნასესხები, კერძოდ, პრეტექსტი არის პიკასოს ცნობილი ნახატი „პაემანი“, რომელიც გენიალურმა მხატვარმა 1900 წელს, შემოქმედების ე. წ. „ლურჯ“ პერიოდში შექმნა და შემდეგ ეს თემატიკა არაერთხელ გამოიყენა თავის შემოქმედებაში. მინიატურის ავტორი ტილოზე მინიშნებით და იმიტირებით ცდილობს გადმოსცეს უხილავი და გრძნობით მიუწვდომელი განცდები, რასაც შეიძლება პერსონაჟები განიცდიდნენ და გრძნობდნენ. მარგველაშვილი პერფორმანსისა და რეფერენსის გამოყენებით ფენოტექსტში ქმნის ერთგვარ მაგიურ რეალობას, რითაც განპირობებულია სწორედ ავტორის არჩევანი - პროზაულ ტექსტში შეიტანოს სხვა მედიიდან, კერძოდ, კლასიკური მხატვრობიდან აღებული კონკრეტული ელემენტი - „სატრფიალო ჩახუტება“.

ტექსტის სათაური - „სარკმელი სურათში“ უკვე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ონტოტექსტთან. „ნახატი სამყაროს სამმართველოს მუშაკები“ სწორედ სურათში დარჩენილი პატარა სარკმლის საშუალებით ახერხებენ ჩუმად შესვლას ცნობილ ნახატში და კლასიკური სიუჟეტის „ამოყირავებას“. ტექსტი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ნატურალისტური სიზუსტით, დეტალურად აღწერს სურათს. „ეს პიკასოა. ამას გვაუწყებს იქაურობის აბსტრაქტული უბრალობა“ (მარგველაშვილი 2018: 107). ამ სიტყვებით იწყებს ავტორი თავის მინიატურას და შემდეგ უკვე ცდილობს სწორედ იმ სარკმლიდან, საიდანაც „სამმართველოს მუშაკები“ ნახატის გმირების დროებით გათავისუფლებას ახერხებენ, მკითხველიც „შეაპაროს“. მარგველაშვილის თვალით დახატული ნახატის რეალობა ასეთია: აქ დგას მხოლოდ ის ნივთები, რაც სატრფიალო ჩახუტებას სჭირდება და სხვა არაფერი - საწოლი და სკამი, სადაც მოხვევის შემდეგ შეუძლიათ სამოსი დააწყონ.

ნახატი მამაკაცის და ნახატი ქალის იდუმალი, ვნებიანი ჩახუტება 1900 წლიდან მოყოლებული გრძელდება დღემდე და ასე გაგრძელდება სამარადისოდ, რადგან „ყოველთვის როდია ადვილი უკვე დადგენილი, მით უფრო დიადი ტექსტების პერსონაჟთა დაყოლიება, რათა ისინი უკვე

დაწერილის (ანუ: საკუთარი სიუჟეტის და თემის) წინააღმდეგ მოიქცნენ, რათა თავიდან აირიდონ ბედისწერის დარტყმა თუ მუდმივი წნეხი“ (მარგველაშვილი 2018: 10). მინიატურის პირველი ნაწილი სრულდება რიტორიკული შეკითხვით, რომელიც კითხვასაც შეიცავს თავის თავში და მძაფრ ემოციურ „პროტესტსაც“ - შესაძლებელია ასეთ ვნებიან მოხვევაში გაატარო ამდენი ხანი?! და თან ერთმანეთს ვერ მოსცილდებიან, სულს ვერ მოითქვამენ, ვერც დაისვენებენ - პასუხი მინიატურის ტექსტის მეორე ნაწილში იკითხება.

ფატალური ტექსტების ფარული რეფორმატორები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან. მათ უნდა მოახერხონ „მოხვევის“ ნახატ ფანჯრის დახურვა და სამარადისოდ „ჩახუტებული“ პერსონაჟების დროებით გათავისუფლება. „და აი, შვების ოხვრა გაისმის, წარმოუდგენელი სიხარულის გამომხატველი, და ისინი ერთმანეთს სცილდებიან... თურმე რა ლამაზი სახეები ჰქონიათ“- ვკითხულობთ ტექსტში. ავტორს მეტი დამაჯერებლობისა და რეალობის განცდისთვის მინიატურაში კონკრეტული პერსონაჟიც შემოჰყავს, ნახატი სამყაროს სამმართველოს ერთ-ერთი მუშაკი - ვატო- რომელსაც შამპანურით და ბუტერბროტებით „დამძიმებული“ ლანგარი შემოაქვს მარადიული სატრფიალო ჩახუტებით დაქანცული წყვილისთვის. თუმცა, მათთვის თავისუფლების ეს საოცარი განცდა მხოლოდ დროებითია და ხანმოკლე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი „სასიყვარულო ჩახუტება მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ჩახუტებაა: პიკასოს ეკუთვნის“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გივი მარგველაშვილი თავისი მინიატურებით, გამონაგონისა და სინამდვილის, ილუზიურისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევის საფუძველზე, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაციით, უაღრესად საინტერესო და ექსპერიმენტულ ტექსტს ქმნის, რომელსაც საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან ინტერტექსტუალურ სამყაროში გადავყავართ. მინიატურების პერსონაჟები, ისევე, როგორც მისი ყველა ლიტერატურული ტექსტის გმირი, შველას ითხოვენ. მათ აღარ სურთ „დახურულ ნახატში/წიგნში“ ცხოვრება, სული ეხუთებათ და ნამდვილ შემფასებელს/მკითხველს ელოდებიან, რათა გათავისუფლდნენ ჩაკეტილი თემიდან/სივრციდან, „მჭიდრო და გაუვალი ჭილოფიდან“ (მარგველაშვილი, 2018:75) და ადამიანებმა/პერსონაჟებმა რეალურ ცხოვრებაში თუ ვერა, ტექსტებში მაინც შეძლონ ლიტერატურული „თამაშის“ საშუალებით სასურველი ყოფის, არსის დანახვა, რაც სამყაროს, მწერლის აზრით, მეტ სილაღეს და სინამდვილის განცდას შესძენს. სწორედ ეს არის, საბოლოო ჯამში, გივი მარგველაშვილის „ონტოკონტექსტოლოგიური მცდელობების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სიღრმისეული დატვირთვა, რაც ასე ფასეულია,

გ. გობიანი

როგორც ქართული ისე გერმანული ლიტერატურათმცოდნეობისათვის და, ზოგადად, ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობებისათვის.

ლიტერატურა

ავალიანი, ს. 2007. *თეორიული ფილოსოფია*. თბილისი: „უნივერსალი“. არისტოტელე. 1964. *მეტაფიზიკა*. მთარგმნელი თამარ კუკავა. თბილისი: გამომცემლობა „ნიკომაქე“.

გაფრინდაშვილი, ნ. 2012. *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: „მერიდიანი“.

გაფრინდაშვილი, ნ, სიმონიშვილი, მ, აფციაური, ნ., 2021. „გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა“. ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეგენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი".

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95> (04.05.2021).

დობორჯგინიძე, ნ. ცაგარელი, ლ. რაისნერი, ო. ქავთარაძე, გ. 2019. *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მალაზონია, დ. მალლაკელიძე, შ. ჭიაბრიშვილი, ნ. გახელაძე, გ. 2016. *ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მარგველაშვილი, გ. 2018. *მეწიგნის გმირი ვარ, მინიატურები*. ქართული გამოცემა. თბილისი: შპს „ალონი“.

ცაგარელი, ლ. 2008. „ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი“. სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“. N3, 2008.

Margwelaschvili, G. 1992. *Der ungevorfene Handschuh*. Berlin.

Literature and Literary Theory

Literary Ontotextology - Miniatures of Givi Margvelashvili

Guranda Gobiani

Kutaisi University
Kutaisi, Georgia
guranda.gobiani@unik.edu.ge

Any science, including ontology, postulates the reality of the external world. Ontology is a philosophical doctrine about the essence of life, or existence. Literary ontotext, i.e. the so-called literary “game” is an integral element of the postmodernist paradigm, centered on a theme, a story with real characters, everyday events, life challenges, and deconstructive texts. The polyvariance of reality, experimentation, deconstruction of classical texts, playing with text construction and ontotext are the main driving force of the work of the modern German-speaking Georgian writer Givi Margvelashvili. With his miniatures, ontological confusion of fiction and reality, illusion and reality, with a kind of postmodernist simulation, Margvelashvili creates a highly interesting and experimental text, which transports us into a rather extensive and diverse intertextual world. The main themes of Margvelashvili's ontoliterature are living faces of literary characters who exist now, in the present moment, and are trying to turn the wheel of destiny (story) in the right direction in order to bring back the lost “merriness” at least in the world of books, from which the true, real existence has been emptied for a long time. According to the laws of the book world, this is possible because, in the writer's view, the world is a book-like dimension, and it is the reader or reading that give them a sense of reality and vitality. That is why the author tries to awaken the reader with his “oncontextological rebuke.”

Keywords: literary ontotextology, postmodernism, text deconstruction, intermediate elements.

Any science, including ontology, postulates the reality of the external world. Ontology is a philosophical doctrine about the essence of existence, which, unlike gnoseology (which studies cognition), studies events in terms of the regularity of objective reality.

Literary ontotext is considered an organic part of the so called literary “game” with its specific, aesthetic means and is an integral postulate of the postmodernist paradigm, which focuses on a theme, a story with real characters, everyday events, life challenges and deconstructive texts. The polyvariance of reality, experimentation, deconstruction of classical texts, playing with text construction

8. გლობალიზაცია

and ontotext are the main driving forces of the work of Givi Marvelashvili, a modern German-speaking Georgian writer, who made a significant contribution to the development of European postmodernism and left a serious mark in the field of deepening intercultural literary communication.

The publication of Givi Margvelashvili's works in Germany started only in the 90s and in fact, Margvelashvili's identity, due to his biographical gales, is neither German nor Georgian, and as the philosopher Givi Zedania puts it, he has a 'hyphen identity', that is an identity, which is called German-Georgian, 'his biography and writing can be thought of as a whole ontotext, and "throwing" into a foreign environment as the main theme of his life and his literary texts.

"Ontotextological attempts to repel the blows of fate in the regions of the world of books and verse" - this is how the German-speaking Georgian writer - Givi Margvelashvili - explains the load of his prose-poetic miniatures, and, as Naira Gelashvili points out, this is how the subtitle of his collection of miniatures was formulated, which was published in Berlin in 1992 under the title "Der ungevorfene Handschuh" ("The glove not thrown away") (Margvelashvili, 2018: 9), and in 1998, in Georgia, the publishing house "Caucasian House" published Margvelashvili's miniatures in Russian under the preface of Naira Gelashvili, entitled "Я книжный персонаж", later, in 2006, the same publishing house published it in Georgian with Naira Gelashvili's foreword (translation belongs to Naira Gelashvili) under the title – "I am the book hero". In 2018, the collection of miniatures was published for the second time by the publishing house "Aloni", accompanied by both forewords by Naira Gelashvili. The collection of these small miniatures became the inspiration for our research, which includes only a few of Margvelashvili's countless miniatures, in particular, up to 55 texts, but this number is enough for the reader to "to be lured" into his ontotextological "route" and make him feel either as a locked character of the texts or like "an employee of the book world division".

The source of the emigrant writer's "ontotextological attempts" is the deconstruction of classical texts, which includes a biblical narrative ("Isaac's escape to Bethlehem"; "Expulsion from time as described in the Holy Scripture"; "Timely relocation of the book hero"; "On the cross of perception"; "Backward Angel" ...) as well as Georgian and European themes ("This is how the suffering of plants in love ended"; "Brotherhood Cemetery"; "Save the eagle"; "A window in the picture"; "Hamlet's being or not being"; "A letter to Trojan Horse"...). Consequently, foreign elements in his artistic production are as from literary origin as other fictional systems (e.g.: fine arts) and actual everyday texts, and belong to the field of pseudo-intertextuality. In this regard, the target text of the study was the miniature "A Window in the Picture", where a foreign element is

borrowed from the fine arts, in particular, the pretext is Picasso's famous painting "Rendezvous", which was created by the genius artist in 1900 during the so-called "blue" period of his activity and then he used this theme many times in his work.

By means of hints and imitations of the canvas the author of the miniature tries to convey invisible and emotionally inaccessible feelings, which the characters may have been experiencing. Using performance and reference, Margvelashvili creates a kind of magical reality in the phenotext, which is the reason for the author's choice - to include in the prose text a specific element taken from other media, in particular, a specific element taken from classical painting – "amorous hugs".

The title of the text – "A Window in the picture" already indicates that we are dealing with ontotext. In the picture "The Workers of the World Division" they manage to enter the famous picture silently through the small window left in the picture and "turn over" the classic story. The text consists of two parts. The first part describes the picture in detail with naturalistic precision. "It's Picasso. This is shown by the abstract simplicity of the place" (Margvelashvili, 2018: 107). The author begins his miniature with these words, and then tries to "sneak in" the reader through the very window through which the "division workers" manage to temporarily release the characters of the picture. The reality of the painting seen from Margvelashvili's viewpoint is as follows: there are only those items that are needed for a hug and nothing else - a bed and a chair, where they can put clothes on after hugging.

The mysterious, passionate hugs of the man and the woman in the painting have been around since 1900 and will continue to be so forever, because "it is not always easy to persuade the characters of the already established, great texts to act against what is already written (i.e. against their own story and theme) to avoid the blow of fate or constant pressure". The first part of the miniature ends with a rhetorical question, which implies a question in itself and a strong emotional "protest" - is it possible to spend so much time in such a passionate hug?! And they cannot move away from each other, neither can they take their breath, no can they have a rest - the answer is read in the second part of the miniature text.

The hidden reformers of fatal texts face a serious problem. They have to manage to close the window of the "hug" picture and temporarily release the eternally "hugged" characters. "And now, a sigh of relief is heard, an expression of incredible joy, and they move away from each other... It turns out how beautiful faces they have had" - we read in the text. For more convincingness and a sense of reality, the author even introduces a real character in the miniature, one of the workers of the drawing 'World Division' - Vato - who brings in a tray "heavy"

with champagne and sandwiches for a couple tired of eternal hugs. However, for them, this amazing feeling of freedom is only temporary and short-lived, for the simple reason that their “love hug is a world-famous hug: it belongs to Picasso”.

Based on all the above, it should be noted that Givi Margvelashvili with his miniatures, on the basis of ontological confusion of invention and actuality, illusion and reality, with a kind of postmodernist simulation, creates a highly interesting and experimental text, which takes us into a fairly vast and diverse intertextual world.

The characters of the miniature, like the protagonist of all his literary texts, are asking for help. They no longer want to live in a “closed picture/book”, they suffocate and wait for the real evaluator/ reader to get rid of the closed topic/ space, “tight and impassable clutter” and in at least texts if not in real life people/ characters could be able to see the essence of the desired being through the literary “game”, which, in the writer's opinion, will give the world more merriness and a sense of reality. This is, after all, one of the most important and in-depth loads of Givi Margvelashvili's "ontocontextological attempts", which is so valuable for both Georgian and German literary studies and, in general, for Georgian-German cultural relations.